



ელექტრო ტელესკოპები:

ელექტრო ტელესკოპები გამოირჩევა შემდეგი მახასიათებლით:

- ასეთი ტიპის ტელესკოპებს გააჩნია ჩაშენებული GPS ნავიგაცია, რომელიც საშუალებას იძლევა -(დაკალიბრების და GPS კოორდინატების) შეყვანის შემდეგ მარტივად მოვძებნოთ ჩვენთვის სასურველი ობიექტი დამის ცაზე.

ასევე დიდ როლს ასრულებს ტელესკოპში ჩაშენებული GPS ასტროფოტოგრაფებისთვის რადგან საჭიროა ავტომატური მიდევნება ხანგრძლივი ექსპოზიციებისთვის, თუმცა შესაძლებელია მიდევნების გარეშე კონკრეტულ ობიექტზე ტელესკოპის მექანიკურად დამიზნება და მრავალი კადრის გადაღება.

- როგორ ხდება დაკალიბრება და GPS კოორდინატების შეყვანა ?

- სანამ დავიწყებთ GPS კოორდინატების შეყვანას ტელესკოპში, სასურველია თავდაპირველად დავაკალიბროთ ტელესკოპი -ანუ(სტარპოინტერი და ტელესკოპი უნდა გავასწოროთ ერთმანეთზე ისე რომ ორივე უყურებდეს ერთ წერტილს) ეს იმისთვის არის საჭირო, რომ სწორედ მივმართოდ ჩვენი ტელესკოპი სასურველ ობიექტზე.

- შემდეგ ვიღებთ ტელესკოპზე მიმაგრებულ მართვის პულტს, მენიუში შესვლის შემდეგ ვირჩევთ Custom Site და ვწერთ დროს, თვეს, წელს, რიცხვს, ჩვენს კოორდინატებს გრძელს (latitude) და განედს longitude-(ასევე მივყვებით იმ მონეტში მოცემულ ინსტრუქციებს) და ვასრულებთ ამით კოორდინატების შეყვანას

-შემდეგ შევდივართ ციური სხეულების ჩამონათვალში და ვირჩევთ რაიმე პლანეტას რაც იმ მომენტისთვის გამოტანილი იქნება მენიუში და ტელესკოპი ავტომატურად დაიწყებს მისკენ მიმართვას.

- იმისათვის რომ ტელესკოპი ჩაირთოს და შევძლოთ მისი გამოყენება, საჭიროა კვების წყარო, ამ შემთხვევაში დაგვჭირდება 8ცალი AA-ზომის ელემენტი ან ცალკე დამატებით აქსესუარი **PowerTank**-ი (რომელსაც დასამუხტად სჭირდება 3-4 სთი და ძლებს 7 სთმდე.)

- სესიის დაწყებამდე სასურველია ტელესკოპი იდგას სწორ ზედაპირზე.

- ტელესკოპის ხშირი ტრანსპორტირება არ არის რეკომენდირებული, რადგან ხშირი გადაადგილებისას და მიღებული ვიბრაციებით ხდება მასში მთავსებული სარკეების არევა, რაც იწვებს გამოსახულების ფოკუსის არევას.

- ასტროფოტოების გადაღება ფოტო კამერის გარდა ასევე შეიძლება **Smartphone universal Adapter** ს დახმარებითაც. ანუ სპეციალურ მობილურის ადაფტერით რომელიც მაგრდება ოკულარზე/ლინზაზე, შემდეგ მასში იდება ტელეფონი, ხდება ტელეფონის კამერის და ლინზის გასწორება ერთმანეთზე და მოწყობილობაც მზადაა ფოტო/ვიდეოს გადასაღებად.

(რათქმაუნდა მობილურით გადაღებული ასტროფოტოები არ უნდა შევადაროთ პროფესიულ ან სპეციალურად ტელესკოპებისთვის გათვლილი კამერით გადაღებულ ასტროფოტოებს

- გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ რაც უფრო ძვირად ღირებულია და მეტი რესურსი მქონეა ტელესკოპი, უფრო ნაკლები კომპლექტაცია მოყვება, მაგალითად: არ მოყვება დამატებით მეორე ლინზა, არ მოყვება კვების ბლოკი ან/და ცალკე ელემენტები....